



თანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასა და საზოგადოებრივ კოლეჯ „აისს“ შორის

ქ. თბილისი

8 ივნისი, 2019 წელი

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა (შემდგომში - „სკოლა“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან ჯაყელის სახით და საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ (შემდგომში - „კოლეჯი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ ასლამაზაშვილის სახით, (შემდგომში - „მხარეები“), ვაფორმებთ წინამდებარე მემორანდუმს და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანს წარმოადგენს მხარეებს შორის ურთიერთთავადაცხადებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 2. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია საგანმანათლებლო და პროფესიულ საკითხებში თანამშრომლობის გაღრმავება და განვითარება, მხარეთა მიერ ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

მუხლი 3. მხარეთა თანამშრომლობის პირობები

3.1. მხარეები მემორანდუმის მიზნების მისაღწევად თანხმდებიან ერთობლივად თანამშრომლონ შემდეგზე:

- ერთობლივი კონფერენციების, სემინარების, საკვალიფიკაციო კურსების, საზაფხულო სკოლებისა და პრაქტიკული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ორგანიზება;
- ორივე მხარისთვის საინტერესო დარგებში ინფორმაციის, მასალებისა და კვლევითი პუბლიკაციის გაცლა;
- საერთაშორისო პროექტებში ერთობლივი მონაწილეობა;
- ერთობლივი კვლევების ორგანიზება და სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლა;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად სხვა სახის თანამშრომლობა.

3.2. მემორანდუმით განსაზღვრული მიზნების რეალიზებისათვის

კოლეჯი:

- უზრუნველყოფს სკოლის საგანმანათლებლო ინიციატივებს შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიური კადრით;
- გამოაყოფს ფართს სკოლის მიერ განსახორციელებელი სასწავლო ტრეინინგ კურსების ჩასატარებლად და უზრუნველყოფს შესაბამის ტექნიკურ აღჭურვილობას.

სკოლა:

- აწვდის ინფორმაციას კოლეჯს სკოლაში მიმდინარე სიახლეების შესახებ;
- უზრუნველყოფს ერთობლივი პროექტებს მაღალკვალიფიციური კადრით;
- ორმხრივი თანამშრომლობის საკითხების კოორდინაციისა და სამუშაო გეგმების მომზადების მიზნით, მხარეები განსაზღვრავენ პასუხისმგებელ პირებს.

3.3. თანამშრომლობის დამატებითი პირობები და ახალი მიმართულებები შესაძლებელია განისაზღვროს მხარეთა შორის მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული წერილობითი შეთანხმებით.

მუხლი 4. თანამშრომლობის პრინციპები

თანამშრომლობა მხარეებს შორის განხორციელდება თანასწორობის პრინციპის დაცვით. თითოეული მხარის კოორდინატორი დაამუშავებს ყოველწლიურ სამუშაო გეგმას.

მუხლი 5. მემორანდუმის მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები

- 5.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 წლის ვადით;
- 5.2. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების ვადაზე ადრე მოშლა დასაშვებია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, არაუგვიანეს 2 კვირით ადრე.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

- 6.1. წინამდებარე მემორანდუმში, მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ;
- 6.2. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მემორანდუმის მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით;
- 6.3. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

მუხლი 7. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

საქართველო, 4600
ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. N13
ტელ: 0431 23 26 00
ვებ გვერდი: www.zhvani.gov.ge
ელ-ფოსტა: zhvani@zhvani.gov.ge


ქეთევან ჯაფარიძე
დირექტორი



საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“

მის: გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ს. კაჭრეთი
ტელ: 577 55 71 50
ვებ გვერდი: www.collegeaisi.ge
ელ-ფოსტა: kachreti@gmail.com

